

გველის-მჭამელი მინდია კულტურათშორის ნარატივში
(პოემა გველის-მჭამელის მიხედვით)

იაგო თვალაბიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის მეცნიერების და ხელოვნების ფაკულტეტზე
შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა

შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბელა წიფურია, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

იაგო თვალაბეიშვილი

21.06.2019

აბსტრაქტი

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებამ ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული ეპოქები გამოიარა: მეფის რუსეთის, საბჭოთა დიქტატურისა და დამოუკიდებელი საქართველოს. სამივე ეპოქაში განსხვავებული ხერხებითა და მეთოდებით მიმდინარეობდა ვაჟა-ფშაველას ტექსტების კვლევა და ინტერპრეტაცია. შესაბამისად, სამივე ეპოქის ფარგლებში სხვადასხვაგვარად ესმოდათ ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მნიშვნელობა. წინამდებარე ნაშრომში ამ პროცესებს დავაკვირდებით პოემა *გველის-მჭამელის* მიხედვით. ამასთან, დავადგენთ *გველის-მჭამელის* ფოლკლორულ წყაროებს და არსებული კვლევების შევსების მიზნით, დავაზუსტებთ, ფოლკლორული გადმოცემებიდან კონკრეტულად რომელი შინაარსობრივი ელემენტებია გამოყენებული პოემაში. ასევე, საინტერესოა *გველის-მჭამელ* გმირთან დაკავშირებით არაერთხელ გამოთქმული აზრი, რომ იგი მსოფლიო კულტურებისთვის მნიშვნელოვანი გმირებისა და პერსონაჟების გვერდით დგას. ეს მტკიცება ყველგან აპრიორულ დაშვებას ეყრდნობოდა და შინაარსი არგუმენტირებულად არ განმარტებულა. წინამდებარე ნაშრომში ამ დანაკლისთა კომპენსირების ცდაა. კომპარატივისტიკის ტრადიციული მიმართულების - თემატოლოგიის კვლევის პრინციპებიდან გამომდინარე, ვაჩვენებთ, რომ მინდია მითოსიდან წარმომდგარი, მუდმივად განმეორებადი კულტურათმორისი არქეტიპია, რომელიც მომავალზეა ორიენტირებული.

საკვანძო სიტყვები: კონტექსტუალიზაცია, ინდივიდუალიზმი, თემა, არქეტიპი, ფოლკლორი.

Abstract

Oeuvre of Vazha Pshavela has passed radically different periods of history: imperial Russian governance, the Soviet Union Dictatorship and independence of Georgia. During these periods, studies and interpretations of his works were made by different methods and means and accordingly, the meaning of his oeuvre was perceived differently. The following paper researches these perceptions based on epic of The Snake Eater. Moreover, it identifies the primary folklore sources of the poem and in order to enhance existing studies it aims to define essential elements of folklore narratives on which the epic is based. Frequently used idea of Snake Eater as the character analogous to the greatest ones of the world literature is also particularly interesting. However, this statement is mostly based on general assumptions and their contents have never been expounded by convincing arguments. Thus, the paper is an attempt to fill the above-mentioned gaps. By adopting thematology - traditional approach to literary studies - we aim to show that Mindia is mythical, constantly used and regular intercultural archetype oriented on future.

Key words: contextualization, individualism, theme, archetype, folklore.